

ივანე როსტომაშვილის საფასით და რედაქციით გამოცემული

Nº 17.

სწავლა-განათლება



მისი ისტორია

გ. ბარნაბიშვილის-მიმრ.

„ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადი,

ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს!“

ი. ჭიქვავაძე.

„ყოველი წუთი თავისუფალი დროი
ადამიანმა სწავლას უნდა მოახმაროს“.

კონფუცია.

ტჲილისი

სტამბა ექვთიმე ივ. ხელაძისა.

1896



ივანე როსტომაშვილის საფასით და რედაქციით გამოცემული

№ 17.

სტატლა-განათლება

ვე

მისი ისტორია

34593

გ. ბარნაში ევგენი მის-მიმრ.

„ჩვენ უნდა ვუძოთ ჩვენი მყობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს!“

ი. ჭავჭავაძე.

„ყოელი წუთი თავისუფალი დროსი
ადამიანმა სწავლის უნდა მოახმაროს“.
კონფუცი.



ტფილისი

სტამბა ექვთიმე ივ. ხელაძესა.

1896.

Дозволено цензурою, Тифлисъ 23 мая 1896 года.

„ძირკვი სწავლისა მწარეა, ნაყოფი-კი ტკბილი.“
ანდაზა.

„სწავლა სინათლეა, უსწავლელობა სიბნელე.“
ანდაზა.

ისწავლეთ, ძმო!

ისწავლეთ, ძენო, ნუ დაზოგავთ ღვაწლსა და შრომას,
სწავლა არს მაღლი ღვთაებისა, ცხოველი მარად!
სწავლა აიყვანს თქვენს გონებას იმ სიმაღლესა,
სიღამაც გასჭვრეტს და მისწვდება დიდს განგებასა,
მის უსაზღვროსა, მშვენიერსა, დიდსა ქმნილებას,
მის დიდს სიბრძნესა და დაფუძნებულს ჭეშმარიტებას.
სწავლა არს ძალა, დიდი ძალა, ძალა ღვთიური:
სწავლული იყოს თუმცა ღონით სუსტი, უძლური,
მისია მაინც ეს ქვეყანა და მის დიდება.
თქვენი სამშობლოს თქვენკენა რბის გული და თვალი,
ისწავლეთ, ძენო, თქვენ ხელთ არის მის მომავალი.
ვახტანგ მრბელიანი.

ისწავლე, ხდავლის მძმანელო!

ისწავლე, სწავლის მძებნელო, მიჰყევ დავითის მცნებასა:
ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა;
თავს სინანული სჯობიან ბოლოს უამს დანანებასა;
ჭირს მყოფი ლხინში შესული შვებად მიითვლი ვნებასა.

სწავლა სიკვდილმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი,
მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი;
სხვას ყველას მახე უგია თავისა გასაყოფელი,
თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთი სო-
ფელი.

ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, რაზომსაც დაეტარების,
აქვს უხილავი საუნჯე, ხელი არ შეეკარების;
არც ცხადის ძალით წაირთმის, არც მაღვით მოიპარების,
ჭკუა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების.

ვითუსაჭურფლოდ მამაცი ოშიგან გულად ლომობდეს,
გაცოფებული გულ-ბრაზად ვეფხვი უკლანჭოდ ომობ-
დეს,
ვერ აღასრულოს საწადი, რაც ნებავს, მისთვის ლო-
ნობდეს,—
ეგრედ ჭკვიანი უწვრთელი ვერ მიხვდეს, რასაც ნდო-
მობდეს.

დავით ბურამიშვილი.

I.

სწავლა-განათლება ხალხს აუმჯობესებს, ამდიდრებს და აბე-
ზნიერებს; იგი ძირიანად აღმოფხვრის ყოველ ბიწიერებას, გაა-
ნათლებს ბნელს მხარეს მათის ცხოვრებისას და გამოიყანს იმ
მხეცთ-მსგავსი მდგომარეობიდგან, რომელშიაც საზოგადოთ
უსწავლელი ხალხი იმყოფება. რამდენათაც იმატებს რიცხვი ნასწა-
ვლთა და მსწავლულთა, იმდენათვე შემცირდება რიცხვი საწყალთა
და ქვეყანაც გამდიდრდება-გაკეთილშობილდება.

ამაში დარწმუნდება ყველა, ვინც-კი ყურადღებით განიხი-
ლავს და დააკვირდება ხალხის ყოფა-ცხოვრებას. ავილოთ, მაგა-
ლითად, გლეხი ხალხი, რომელიც მომეტებულ ნაწილად უსწავ-
ლელია. მართლაც, რას წარმოადგენენ ისინი? ერთს უბედურს
და წუთის სოფლით გატანჯულ არსებას, სულ-კი თავისი
უსწავლელობით და გაუნათლებლობით...

უსწავლელი გლეხი ხნავს, სთესავს და მკის, მაგრამ ყველა
ამას ის თითქმის ბრმასავით აკეთებს: იმან უსათუოდ როდი იცის,
თუ რომელ პურის თესლს, რა ნაირი მიწა მოუხდება; ის გა-
ნურჩევლად აბნევს მარცვალს სადაც მოხვდება და ვერც სხვა
პირობებს ასრულებს რიგიანად, რომლებიც საჭიროა თესლის
კარგი მოსავლისათვის. ამიტომ, შრომა უსწავლელი კაცისა ხში-
რად კუთხნილისამებრ არ ჯილდოვდება და კაცი მშიერი რჩება.

დროს მიმავლობაში მიწას ლონე ელევა და გამოსავალი
აკლდება. რათა? იმიტომ, რომ პატრონი უცოდინარობის-გამო
მიწას აღარ უბრუნებს აღებულს სასუქის სახით, და თუ აძლევს
სასუქს, ან უზომოდ და ან კიდევ უდროვოთ. გვალვის ან სხვა

მიზეზის-გამო გლეხს მოსავალი არ მოსდის და იგი ხშირად მშიე-რი რჩება. რათა? იმიტომ, რომ არ იცის გამოზოგვა, შენახვა, თადარიგიანად შრომის და საქმის მოწყობა, რომ, ვინიცობაა, ერთმა მოსავალმა უმტკუნოს, მეორემ არ შეამჩნევინოს ეს მოუ-სავლობა. ერთი სიტყვით, უსწავლელობის-გამო გლეხი ხალხი ფრიად იტანჯება და ცხოვრებაც ერთი ორად უძნელდება. აბა ნახეთ ახლა ნასწავლი მუშა კაცი; იმას სულ სხვა გვარად მი-ჰყავს თავისი საქმე; ის კითხულობს წიგნებს და გაზეთებს მიწის შემუშავების შესახებ და წაკითხულიდგან ბევრს გამოსაღეგ ცნო-ბებს ითვისებს, ე. ი. წიგნების წყალობით იმან იცის, თუ რო-მელ პურის თესლს მიწის რომელი ნიადაგი მოუხდება, იცის რა დროს და როგორ დააყაროს სასუქი, რომ მამულმა ყოველ-წლივ კარგი მოსავალი აძლიოს, იცის აგრეთვე სად და როგორ იყიდოს მიწის შესამუშავებელი უკეთესი იარაღები და მანქანე-ბი, რომ უფრო ადვილად და ყველაზედ ადრე მოასწროს გასა-კეთებელი საქმე. ერთი სიტყვით, ნასწავლ მუშა კაცს ცხოვრე-ბა მეტად უადვილდება და შრომაც მოუცდენლად ერთი ორად უფასდება.

უსწავლელი კაცი კვირა-უქმე დღეებში მიღის დუქანში და მთელი კვირის ნაშოეარს იქ ფლანგავს, თუმცა შინ ცოლ-შვი-ლა შიმშილით ეხოცება. წიგნის მცოდნე-კი აიღებს წიგნს, კი-თხულობს თავის ან ნაცნობ-ნათესავების ოჯახში და წაკით-ხულიდგან ითვისებს და იგებს ბევრ იმისთანა საქმეს და ცო-დნას, რომელსაც იგი და მისი მსმენელები უიმისოდ ვერსად გაიგებდნენ.

უსწავლელ ხალხს სწამს ჯადოსნობა, ალი, ქაჯი, მკითხაო-ბა და სხვა ამისთანა ცრუმორწმუნებანი. ყველამვიცით, თუ ამისთანა ცრუ-მორწმუნეობას რამდენი ვნება და ზარალი მოაქვს ხალხისთვის. უსწავლელმა არ იცის, როგორ მოუაროს ივაღმყოფს და ამით მეტად დიდ ვნებას აძლევს, როგორც ივაღმყოფს, ისე კარგად

მყოფებს. ნასწავლის ხელში ხშირად საკმაოა ხოლმე სულ უბრალო საშუალება, რომ ავადმყოფი მეორე დღესვე ფეხზე დადგეს, უსწავლელის ხელში-კი საწყალი ავადმყოფი უდროვოდ სულსა ჰლევს.

ნასწავლი არც გამოგონილ და ცრუ-მორწმუნე ხმებს უჯერებს. ის სცდილობს ჯერ თითონ შეამოწმოს ყოველი გაგონილი, გამოსცადოს იგი და შემდეგ ისე დარწმუნდეს მათ ჭეშმარიტებაში. უსწავლელს არც თავისა სულიერი ცხოვრებისა გაეგება ბევრი. იმან არ იცის თუ რას გვასწავლიან ქრისტე და სხვა გამოჩენილი მერჯულენი და მეცნიერნი, არ იცის რით და როგორ გაარჩიოს სულის შემრგო კეთილი და მისი წამწყმედი ბოროტება და ამიტომ ხშირად და ადვილად ვარდება განსაცდელში.

ნათქვამით ბევრად თუ ცოტად დავინახეთ, რომ სწავლა-განათლება საჭიროა ერისათვის და მისი კეთილი ყოფა-ცხოვრებისათვის და ამიტომ არ შეიძლება იგი დაიგმოს და უარყოფილ იქმნას ვისგანმე. მაგრამ იყო დრო, როდესაც ხალხმა არ იცოდა ესა და მთელი საუკუნოებით ჩაფლული იყო ბნელს წყვდიადში. ბევრი დრო და ბევრი ლონეც დასჭირდა ქვეყნის უკეთეს და უნიჭიერეს შვილებს, სანამ ამ უბრალო ჭეშმარიტებას უცილობელს გახდიდნენ, სანამ ყველასათვის ცხადი შეიქმნებოდა, რომ ყოველი ადამიანისათვის აუცილებლად საჭიროა სწავლა, რომ მის გარეშე არ არის ხსნა ბნელში მყოფ ხალხისათვის.

განვიხილოთ მოკლეთ სწავლა-განათლების მიმდინარეობის ისტორია, რომ უკეთ დავინახოთ, თუ სწავლის საყოველთაოდ საჭიროების შეგნებამ როგორის ნელის ნაბიჯით მოაღწია ჩეკნამდე.

II.

ჯერ კიდევ ქრისტეზე კარგა წინ, ძველს საბერძნეთში და რომში, ხალხმა მეტად ადრე შეიგნო სწავლა-განათლების საჭიროება და დაიწყო გამართვა სხვა და სხვა სასწავლებლებისა, საღაც ღიდის გულ-მოდგინებით სწავლობდა მაშინდელი ახალგაზღობა. ეს სასწავლებლები სხვათა შორის უესანიშნავი იყვნენ იმით, რომ მათში მოსწავლეებად იღებდნენ პატარებსაც და ღიდებსაც. სწავლა და სასწავლებლების მართვა, განსაკუთრებით საბერძნეთში, მაშინდელს დროში ირიცხებოდა საუცხოვო საქმედ არა მარტო კერძო პირთათვის, არამედ მთელი სახელმწიფოსთვისაც, ასე გაღვიძებული იყო სწავლის სურვილი ხალხში. ეს იყო მიზეზი, რომ საბერძნეთში მეტად გამრავლდნენ ფილოსოფოსნი და სხვა მეცნიერნი, რომელთაც აუწერელი ღიდება შესძინეს თავიანთ სამშობლოს.

მაგრამ ქრისტეს შემდეგ გარემოება გამოიცვალა და ხალხი ისევ წინანდელ ბნელ მდგომარეობაში ჩავარდა. ამისი მიზეზი იყო ხანგრძლივი და მძვინვარე ომიანობა სხვა და სხვა სახელმწიფოთა და რჯულთა შორის. საქმე იქამდე მივიდა, რომ ხალხის მცირე ნაწილი-ლა გრძნობდა სწავლის საჭიროებას და ამიტომ ყველა უსწავლელი იყო მაშინა. ახლა სწავლა ირიცხებოდა მეტ საქმედ, ყველა გატაცებული იყო მსოფლი ბირადი ცხონებით სულისა, რჯულის წეს-რიგთა აღსრულებითა და ის-კი აღარ იცოდნენ, რომ

„უწიგნო-უსწავლელისთვის სარწმუნოება მკვდარია:

ის ვერა ხედავს სინათლეს, პირუტყვის თანაბარია;

საქმეს აკეთებს, მუშაობს, მაგრამ არ ესმის ვალია...

თუმცა სჯულიც სწამს, ლოცულობს, მაინც ნასწავლთან მხდალია! *)

*) იხ. ჩვენ-მიერ გამოცემული „სოფლის მოღვაწენი“ ი. ჩიტაძისა.

ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ სკოლათა რიცხვი მეტად შემცირდა. ახლა სკოლაში შედიოდნენ სასწავლებლად მხოლოდ ისინი, ვისაც მღვდლად ჰსურდა გამხდარიყო, დანარჩენი ხალხი-კი სულ უსწავლელი რჩებოდა. მაშინდელს სკოლებში სწავლობდნენ მარტო ლათინურ კითხვასა და საღმთო წერილსა. რაღანაც წერა საძნელო საქმედ ითვლებოდა, მას იშვიათად სწავლობდნენ. წერას სწავლობდნენ მარტო ბერები და მეცნიერნი. პირველნი იმისთვის, რომ საღმრთო წიგნები გადაეწერათ და მეორენი — თავიანთი თხზულებების დასაწერად. სკოლები მონასტრების ახლოს იმართებოდა და მასწავლებლებათაც ბერები ინიშნებოდნენ. მოსწავლეებად მხოლოდ ვაჟებს იღებდნენ და ქალებს-კი სრულებით არა. მეტად ძნელი იყო მაშინდელს სკოლებში სწავლა მოსწავლეთათვის. მათ სასტიკად და უწყალოდ ეპყრობდნენ და, სწორედ ქრისტეს მცნების წინააღმდეგ, თითქმის ყოველ უბრალო დანაშაულზედ სილაპამდნენ და სჯიდნენ. გარდა მხეცურად მოპყრობისა, მოსწავლეებს ყველაფერი ზეპირად უნდა დაესწავლათ და არა ჰქონდათ ნება თვით-მსჯელობასა. თვით სკოლებიც მოთავსებული იყო ისეთ ნესტიან და ძველს შენობებში, რომ ერთი მათი გარეგანი შეხედულებაც-კი კაცს შესზრავდა და მწუხარებაში ჩააგდებდა. მიუხედავათ ამისა, მაინც კიდევ ბევრნი შედიოდნენ სასწავლებლად, რაღანაც მაშინაც იყვნენ ისეთები, რომლებსაც ესმოდათ, რომ თუმცა „ძირგვი სწავლისა მწარეა, მაგრამ ნაყოფი-კი ტებილი.“ ასეთ არა სანუგეშო მდგომარეობაში იყო საქმე მეცხრე საუკუნემდე ქრისტეს შემდეგ.

ამ საუკუნეში საფრანგეთში მეფობდა ერთი მხნე და ძლიერი მეფე — კარლის დიდი. *) მან დაიპყრო თითქმის ყველა უმთა-

*) კარლოს დიდის შესახებ სხვათა შორის იხ. ჩვენ-მიერ გამოცემული „გმირი როლანდი“ პ. ჯაფარიძისა.

ვრესი ადღილები ევროპისა და თავის სახელმწიფოს შეუერთა. სიმხნესთან ერთად იგი იყო მეტად გულ-კეთილი და გამჭრიახი გონების პატრონი. იმ საშინელს უმეცრებაში, რომელიც მის დროს მთელს ევროპაში სუფევდა, მან პირველმა შეიგნო, რომ სწავლა-განათლება საჭიროა არა მარტო სასულიერო წოდებისა და მეცნიერებისათვის, როგორც მიღებული იყო მაშინ, არამედ მთლად უბრალო ხალხისათვისაც. ამიტომ იგი გულ-მოდგინეთ შეუდგა სწავლა-განათლების დანერგვას ხალხში და ამ მიზნით გახსნა მრავალი სასწავლებელი. კარლოს დიდი ამით არ დაკმაყოფილდა და რომ თვალ-ნათლივ დაენახვებინა ყველასთვის სწავლა-განათლების საჭიროება, იგი თვითონაც შეუდგა წერა-კითხვის შესწავლას, რომელიც მას, თუმცა მეფის შვილს, პატარაობაში არ ასწავლეს. კითხვა თითქმის გაუჭირვებლათ შეისწავლა, მხოლოდ წერის შესწავლა კი დიდად უჭირდებოდა: მისი ომებში გატლანქებული და იარაღის ჭრისაგან დაკორძებული ხელები ვერ იმორჩილებდნენ საწერად კალამს. ამაზედ ძრიელ სწუხდა კარლოსი, მაგრამ მის სიბეჯითეს საზღვარი არა ჰქონდა: ხშირად შუალამისას, როდესაც ჯერ კიდევ არ მოესვენა დღიური შრომისაგან, ადგებოდა ის და დაიწყებდა წერას და კითხვას სხვა და სხვა წიგნებისა...

ამავე დროს მეფობდა ინგლისში შესანიშნავი მეფე ალფრედ დიდი. ამასაც დიდად უყვარდა სწავლა და დიდადვე სცდილობდა მის გავრცელებას ხალხში, რისთვისაც აგრეთვე ჰმართავდა და ხსნიდა მრავალ სასწავლებლებს, რომლებშიაც სწავლა სამშობლო ენაზე სწარმოებდა და არა უცხო ლათინურ ენაზე.

მაგრამ, რა გამოესალმნენ წუთ სოფელს ეს ორნი თანამბრძოლნი სწავლა-განათლებისათვის, მათთან ერთად კარგა ხნობამდე ხელ-მეორედ მისწყდა მათ-მიერ დაწყებული საქმე. მათ შემდეგ აღარავინ გამოჩნდა ისეთი მადლიანი, რომ სკოლებისთვის და სწავლა-განათლებისთვის ეზრუნა და ამიტომ რიცხვი

სკოლებისა კვალიდ შემცირდა და მდაბიო ხალხი ისევ უმეცრებაში ჩავარდა. სწავლა მარტო უმაღლეს წოდებაში დამკვიდრდა და მარტო იმათი შვილებისათვის ხსნიდნენ სასწავლებლებს. აქ რაინდებს ასწავლიდნენ ფრანგულ ენას, სამხედრო ხელობას, მუსიკას და სხვ. ხოლო, რომელთაც ჰსურდათ სასულიერო წოდებაში შესვლა, ისინი სამონასტრო და საეკლესიო სკოლებში შედიოდნენ. შემდეგში ამავე სკოლებში დაიწყეს შესვლა იმისთან ნებმაც, რომელთაც მარტო სწავლა ჰსურდათ მიეღოთ. ამ გვარად სწავლის საჭიროებამ ისევ გაიღვიძა. ყველაზედ უწინ სწავლამ იტალიაში გამოიღვიძა. ნასწავლი ხალხი აქ აარსებდა საზოგადოებებს, რომელთაც სახელად უნივერსტიტეტს ეძახდნენ. ამ საზოგადოებების მიზანი იყო, რომ სწავლა-განათლება ყველა ერთ შორის გაევრცელებინათ და ამიტომ აარსებდნენ ისეთ სასწავლებლებს, სადაც ყოველ გვარ მეცნიერებას ასწავლიდნენ. მაგრამ სკოლათა რიცხვი მაინც მეტად მცირე იყო და მე-XVth საუკუნემდის ქვეყანა თითქმის ისევ ძველებურ უმეცრებაში იყო ჩაფლული.

მე-XVth საუკუნეში გამოჩნდა გერმანიაში ერთი მეტად ნასწავლი და ჭიკიანი კაცი, რომელმაც საკმაოდ გარკვევით გამოსთქვა აზრი სწავლა-განათლების აუცილებელ საჭიროებაზე ყველასათვის. ეს კაცი იყო მარტინ ლიუტერ (დაიბადა 1483 წ.) მამა მისი იყო მადნის მთხრელი და რომ შვილი ნასწავლი გამოჰსვლოდა, მან ის სკოლაში მიაბარა. დიდი ტანჯვა-წვალება გამოიარა ლიუტერმა სკოლაში, რაღანაც მაშინ მოწაფეებს ყოველ უბრალო დანაშაულზედ სასტიკად სჯიდნენ და სტანჯავდნენ. „ერთხელ, ერთი დილის განმავლობაში,“ — ამბობს ლიუტერი — „ხუთმეტჯერ გამტყიპეს მეო“. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ლიუტერმა სწავლა მაინც პირველ მოსწავლედ გაათავა და ბერად შევიდა. ჯერ სკოლაში ყოთნის ღროსვე, ლიუტერი კარგათ ჰხედავდა, რომ სამღვდელოება მეტად ცუდად ეპყრობა გლე-

ხებსსა და უნდოდა, რომ როგორმე ეშველა ხალხისთვის. მაგრამ ეს აზრი მან ჯერ გულში შეინახა მაგრად. ახლა-კი, როდესაც ლიუტერი ბერად შევიდა, ის თამამად შეუდგა თავისი დიდი ხნის აზრის განხორციელებას და დაუწყო ბრძოლა სამღვდელოებას, ხალხს კარგად მოეპყარითო. ბრძოლასთან ერთად, 1525 წელს ლიუტერმა გახსნა ქალაქ ეისაფერენში სახალხო სკოლა, რომელშიც იღებდა ყმაწვილებს ორივე სქესისას. იმ დროში ეს იყო პირველი სახალხო სკოლა. ლიუტერის-მიერ გახსნილი სკოლა სრულებით არ წააგავდა მაშინდელ სხვა სკოლებს: იქ პირკუშად და სასტიკად-კი არ ეპყრობოდნენ მოსწავლეებს, არამედ ტკბილად და ალერსიანად. ასწავლიდნენ წერა-კითხვას სამშობლო ენაზედ, მუსიკას, გალობას, და აძლევდნენ თვითმსჯელობის და თამაშობის ნებასაც, როგორც მარგებელს ჯანმრთელობისათვის. თუმცა ძლიერ სკიდილობდა ლიუტერი სწავლა-განათლების გავრცელებას ხალხში, მაინც მარტო თითონ ვერას გააწყობდა და ამიტომ მიმართა ყველა ქალაქებს, უფროსებს და მმართველებს ეპისტოლეთი, რომელშიაც უხსნიდა მათ სწავლა-განათლების მნიშვნელობას და ურჩევდა მის ხალხში გავრცელებას. აი რას სწერდა ლიუტერი თავის ეპისტოლეში:

„ბავშვები კურთხევაა ღვთისა: ისინი ჩვენდა მონიჭებულ არიან არ თუ ჩვენ გასართობად და თამაშად, არამედ იმისთვის, რომ მათთვის და მათის სულისა და ხორცისათვის ვიზრუნოთ. ჩვენ ისინი არ-კი უნდა ვსტანჯოთ, არამედ უნდა აღზარდოთ სახელმწიფოს და სამშობლოს სასარგებლოდ, რომელნიც დიდად საჭიროებენ ცნობიერ და განათლებულ ხალხში. სწავლა საჭიროა ყველა წოდების კაცის შვილისათვის, როგორც მდიდრისა, ისე ღარიბისა, როგორც მამათ სქესისა, ისე დედათ სქესისათვის. სწავლას უსათუოდ სკოლებში უნდა მიიღებდნენ, რადგანაც სწავლის გარდა აქ ყმაწვილები ეჩვევიან ერთად ყოფნასა და კრებულით ცხოვრებას. სკოლაში უნდა ასწავლონ საღმრთო წე-

რილი, წერა-კითხვა, ანგარიში, ისტორია (ისტორია მოგვაგონებს და გაგვაცნობს ჩვენს წარსულს, კაცობრიობას და შესანიშნავ ერებს, რომლებიც მაგალითებად უნდა გვედგნენ წინაო). მოქმედით ყმაწვილებს ტკბილად და ალერსიანად. ძრიელ სცდებიან ისინი, რომელნიც ფიქრობენ, რომ ყმაწვილს სასტიკად და პირქუშად მოპყრობა უნდაო. ალერსით და ტკბილის სიტყვით უფრო ბევრის შეძენა შეგვიძლიან, ვიდრე პირქუშობით. ეცადეთ, რომ ყმაწვილები მხიარულად იყვნენ; სიმხიარულე გაამხნევებს და მისცემს მათ ღონეს მუშაობისათვის; სიმხიარულე არ არის ცოდვა, იგი თანამავალია ყმაწვილობისა. სკოლები უნდა შენდებოდეს თვითეულ ქალაქში და სოფლებში სახელმწიფო ხარჯით. ყმაწვილები ორ საათს მაინც უნდა ატარებდნენ ყოველ დღე სკოლაში, ეს არ დაუშლის მათ, როდესაც შინ მოვლენ, თავიანთ მშობლებსაც შეეწიონ შინაურ საქმეებში. ყოველ სკოლას უნდა ჰქონდეს წიგნთ-საცავიც, საიდამაც მასწავლებელი აურჩევს სხვა და სხვა წიგნებს მოწაფეებს, რომ გაკვეთილების შემდევ იკითხონ. მასწავლებლობა დიდი და წმინდა საქმეა; მასწავლებელი მეტად გამოსაყენებელი და მარგებელი კაცია სახელმწიფოსათვის; მე რომ მღვდელი არ ვიყო,,—ამბობს დასასრულ ლიუტერი,— „სკოლის მასწავლებლად გავხდებოდიო“...

წარგზავნები ლიუტერისა არ დარჩნენ უშედეგოთ; ამან ბევრი დაარწმუნა სკოლების სარგებლობაში და ამიტომ გერმანიაში და საზოგადოდ ლიუტერანულს ადგილებში, ე. ი. სადაც ლიუტერის მოძღვრება ვრცელდებოდა, საკმაო რიცხვი სკოლებისა დააფუძნეს...

III.

განვლო რამდენიმე ათმა წელმა ლიუტერის სიკვდილის შედეგ და მას-მიერ დაწყებული განათლების საქმე კინალამ ისევ

არ მიყრუვდა. გერმანის სამთაეროთა შორის ასტყდა მძვინვარე ომიანობა, რომელიც ოც-და-ათს წელს გაგრძელდა და დიდი ზარალი მოუტანა გერმანის ხალხს, როგორც ნივთიერად, ი: ე სულიერად. მთელი გერმანია აოხრებული შეიქმნა და ლიუტერისაგან თუ მისი რჩევით დახსნილი სკოლები ყველა დაიხურა. ამ საშინელს და შემაძრწუნებელს დროში გერმანის მოსამზღრვე ქვეყანაში, მორავიაში, სცხოვრობდა ერთი კაცი, რომელიც სხვას არ წაგავდა; მას არ ეშინოდა სიკედილისა და მედგრად იტანდა ყველა უბედურებას; სახლი და ქონება დაეწვა, ცოლ-შვილი ამოუწყდა და თვითონ კიდე მტრებისაგან იყო განდევნილი სამშობლოდგან და თითქმის მთელი თავისი სიკოცხლე სულ სხვა ქვეყნებში და მოგზაურობაში გაატარა. ამდენს ვაი-ვაგლახში მან მაინც თავისი იშვიათი სიშვიერე და სულის სიმტკიცე არ დაკარგა; მიუხედავად მრავალ უბედურებათა, ის დაუღალავად და მტკიცედ შრომობდა თვის-მიერ არჩეულ საქმეზედ. ეს კაცი იყო იან-ამოს კომენსკი. საქმე, რომელსაც შეუდგა იან-ამოს კომენსკი, იყო ერის სწავლა-განათლება. კომენსკი შთამომავლობით იყო ჩეხი, დაიბადა მორავიაში. მამა მისი უბრალო მეწისქვილე იყო. მშობლები მას ადრე დაეხოცნენ და ობლად იზრდებოდა. რადგანაც მისთვის ალარავინ ზრუნავდა, ამიტომ, თექვმეტის წლისამ თითონ თავის თავად შეისწავლა წერა-კითხვა და იმდვენი იმეცადინა, რომ სხვებს გაუსწო სწავლა-ცოდნაში, თუმცა მუდამა ჩიოდა, რომ უპატრონობით პატარაობითვე ვერ მივიღე სწავლაო.

კომენსკიმ დასწერა ასზე მეტი თხზულება და ყველა ამ თხზულებაში სწავლა-განათლების და მის საყოველთაო საჭიროების შესახებ ლაპარაკობს. საუბედუროთ მის ყველა თხზულებებს არ მოუღწევია ჩვენამდის, რადგანაც ბევრი მათგანი დაიწვა და ბევრი კიდე ჯერ არ არის ნათარგმნი სხვა ენებზე. მაგრამ იმათშიაც, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, ბევრი სამა-

რთლიანი და სწორი აზრებია გამოთქმული სწავლის შესახებ. აი უმთავრესი აზრები კომენსკისა:

„კაცი არის ყველაზედ უკეთესი ქმნილება, რადგანაც იგი შექმნილია ხატად და მსგავსად ღვთისა. მაგრამ ყოველთვის-კი არ არის კაცი ღირსი, რომ კაცის სახელი დაუძახოთ. არ შეიძლება უწოდოთ კაცი იმას, ვინც მარტო სვამს, სჭამს და ვინც მხოლოდ საკუთარი ცხოვრების გაუმჯობესობაზედ ფიქრობს მარადო. ერთი სიტყვით, კაცის სახელის ტარების ღირსი არ არიან ყველა ისინი, ვინც კაცის დანიშნულებას არ აკმაყოფილებენ“.

„კაცს ღვთისაგან მინიჭებული აქვსო ჭკვა და გონება, რომლითაც ის ცხოველებისაგან გაირჩევა და მათ აღემატება. მაგრამ ჭკვაც საჭიროებს კაცის-მიერ გახსნა-განვითარებას. როგორც თესლი რისამე, დათესილი მიწაში, არ ამოვა და ნაყოფს არ მოიტანს, თუ კაცი არ მოუვლის, ისე კაცის ჭკვა ჩლუნგდება უსწავლელობით. ვერვინ იტყვის, რომ ყველას არა აქვს ჭკვის თესლი, იმიტომ რომ ყველანი ღვთის მსგავსად ვართ შექმნილნი. თუ ეს ასეა, მაშასადამე, სწავლა-განათლება ყველას გვინდა, რადგანაც უამისოთ ჭკვა უაზრობით და შიშით გაივსება. იმათ უფრო ესაჭიროებათ სწავლა, ვინც ბუნებით ჭკვით ჩლუნგია, რადგანაც ამათი ჭკვა სწავლას ისე საჭიროებს, როგორც ჩლუნგი იარაღი გალესვასაო.. ყველა კაცი იმას უნდა სცდილობდეს, რომ რაც შეიძლება მეტად გაიხსნას და განავითაროს თვისი ყველა კარგი ბუნებითი ნიჭები და შეითვისოს ისეთებიც, რომლებიც მას არა აქვს. უნდა ყველამ იცოდეს ის, რაც საჭირო და გამოსაყენებელია ცხოვრებაში და ყველა ამას-კი ჩვენ მხოლოდ სწავლით მივიღებთო“.

„სწავლა-განათლება ქალებისთვისაც ისეთივე საჭიროაო,— განაგრძობს კომენსკი,— როგორც კაცებისთვის. ღმერთს არავითარი განსხვავება არ დაუდვია კაცთა და დედაკაცთა შორის.

ქალსაც ისეთივე ნიჭი აქვს სწავლისა ღვთისაგან მინიჭებული, როგორც კაცს და ამიტომ რად უნდა დაიხშოს მათთვის სწავლის კარები? ამბობენ დედა-კაცები ცრუფნი არიან და მეტი ყბედობა უყვართო.—ეს იმიტომ, რომ მათი თავები არ არის სასაქმო აზრებით მოცულნი და ისინიც ყბედობაში ატაჩებენ დროსაო.

„რაც შეიძლება ადრე უნდა დააწყებინოთ ყმაწვილებს სწავლაო. მარტო ისაა კაცში მაგრად და მტკიცედ, რაც მას პატარაობაში აქვს შეთვისებულიო; ჩვენი ჭირი და გრძნობა ყმაწვილობაში უფრო უკეთ ითვისებს სწავლას, ვიდრე დიდობაში, რადგანაც ისიც, როგორც სხვა ყოველი ახალგაზდა და ნორჩი (მაგალითად, ხე, ცხოველი) უფრო მოძრავი და აღვილ-მოსაქნელია, ვიდრე ბებერი და უშვერი რამე, რომელთ მოქნა და გასწორება თითქმის ყოვლად შეუძლებელია..“

„სწავლა-ცოდნა ყველასთვის საჭიროაო. დიდათა სცდებიან ისინი, ვინც ფიქრობს, რომ სწავლა- განათლება მარტო შეძლებულებს უნდა მიეცესო. სრულებითაც არა: სწავლა ყველასათვის თანასწორად საჭიროა და, მაშასადამე, ყველამაც უნდა მიიღოს იგი, როგორც მდიდარმა, ისე ღარიბმაცაო. სკოლებში რაც კი საჭიროა ყველაფერს აღვილ-გასაგებად და სიამოვნებით უნდა ასწავლიდნენო.“

„კაცის სიცოცხლე მეტად მოკლეა, ღვთის ქმნილება-კი დაუსარულებელი და სხვა და სხვა გვარია. სწავლის კარგად შეგნებისათვის საჭიროა ხანგრძლივი სიცოცხლე; ხოლო იმისთვის კი რომ პატარა დიდხანს იცოცხლო, უნდა იცოდე ის პირობები და მოთხოვნილებანი, რომელნიც საჭირონი არიან ამისთვის. დიდ ხანს-კი მხოლოდ ის იცოცხლებს, ვინც ჯანმრთელია; ხოლო, რომ კაცი ჯანმრთელი იყოს, უნდა უბრალო საჭმლით იკვებებოდესო და წმინდა ჰაერზედ რაც შეიძლებ ხშირად იმყოფებოდესო; უნდა დაიცვას მან სხეულის სიფაქიზე, რვა საათი

ძილს მოანდომოს, რვა—მუშაობას და რვაც—სწავლას, გონიერ ხალხთან საუბარს და წიგნების კითხვას. თუ ასე მოეიქცევით, ჩვენ დრო ცუდ-უბრალოდ არ დაგეეკარგება.

რომ სწავლა წარმატებით მიღიოდეს სკოლებში, ამისათვის საჭიროა: 1) რომ ყმაწვილები სწავლის დამთავრებამდე დარჩენ სკოლაში; 2) რომ სკოლები აშენებული იყოს წყნარ და უჩუმარ ადგილებში, სადაც არაფერი უშლიდეს მოსწავლეთა სწავლას და 3) რომ ყმაწვილები ცუდ-უბრალოდ და უმიზეზოდ გაკვეთილებს არ აკლდებოდნენ.

მთელი სწავლა ნაწილდება ოთხ სკოლად: პირველი სკოლა არის სკოლა დედისა; მეორე სკოლა არის სკოლა ყრმბისა ანუ სასალსო; მესამე სკოლა არის სკოლა ჭაბუქობისა ანუ გამნაზია (საშუალო სასწავლებელი) და მეოთხე სკოლა არის უნივერსიტეტი ანუ უმაღლესი სასწავლებელი. დედა მოვალეა ასწავლოს თავის შვილს სიმართლის თქმა და სწორე გამოთქმით ლაპარაკი. თუ ყმაწვილი პატარაობიდგანვე დაეჩვია უსწოროთ და ენის ბორბიკით ლაპარაკს, შეიძლება დიდობაშიაც ისე დარჩეს და ვერ გაისწოროს ენა. დედამ უნდა გააცნოს და ასწავლოს შვილებს ყველა იმ საგნების სახელები, რომლებსაც ყმაწვილი ხვდება და ჰქედავს. ყმაწვილმა უნდა იცოდეს, რა არის წყალი, მიწა, ცეკლი, ჰაერი, წვიმა, თოვლი, მთა, ღრე, ტყე, თვე, კვირა და სხვ.; აგრეთვე საჭიროა, რომ ყმაწვილმა იცოდეს, როგორც თვლა, ისე გამოკლება და მიმატება. დედამ უნდა შეაჩიოს თავისი შვილი სიფაქიზეს (იმას უნდა შეეძლოს თავისი ხელით პირის დაბანა, თავის სუფთად დაჭრა ჭამის დროს და აგრეთვე მოტანა და ალაგება თავისი ნივთებისა). სიმართლის თქმას პატარაობიდგანვე უნდა ეჩვევოდნენ ყმაწვილები და ამიტომ მშობლებმა არ უნდა მისცენ მათ ნება არც ხუმრობით და არც მკაცრობით ტყუილის თქმისა. დედისგან ყმაწვილი უნდა შეეჩიოს მუშაობას, მოთმინებას, მა-

სიამოვნებლობას და ქრისტიანულს სიყვარულს (რომ ყმაწვილი მარტო თავის თავზედ-კი არ ფიქრობდეს, არამედ სხვაზე-დაც). რომ უფრო ხშირად ისაუბრონ დედებმა ყმაწვილებთან სხვა და სხვა საგნების შესახებ, საჭიროა იქონიონ სახლში სუ-რათებიანი წიგნები და მათის შემწეობით გააცნონ ბავშვები ყოველ-გვარ საგნებს.

შეიქმნება თუ არა ყმაწვილი ექვსი წლისა, უნდა გაიგზა-ვნოს სახალხო სკოლაში, სადაც ცოტათ თუ ბევრად დედისა-გან მომზადებული ბავში, ჩქარა და აღვილად შეიგნებს სწავლა-სა. იქ ის ისწავლის თაეისუფლად სამშობლო ენაზე წერა-კი-თხვას, გალობას, მოთხრობებს საღმრთო რჯულიდებან, გაიცნობს აგრეთვე დედა-მიწას (თუ რა სახისაა ან როგორ ტრიალებს), ზღვებს, ზღვარეთებს (ოკეანებს), მთებს, მდინარეებს, სხვა და სხვა მცენარეებს, ცხოველებს, მზეს, მთვარეს და სხვ. შეიტყობს აგრეთვე თავის სამშობლოს ისტორიას და ბოლოს რომელსამე ხელობასაც შეისწავლის.

გიმნაზიაში და უნივერსტიტეტში ახალგაზღობა საფუძვლიანად შეისწავლის ყველა მეცნიერებას, ლვთის სიბრძნის ყველა დი-დებულებას. სწავლის დამთავრების შემდეგ კარგია მოგზაურო-ბა სხვა და სხვა ქვეყნებში, სადაც ახალგაზღები ხაკუთარის თვალით ნახავენ სხვა და სხვა ხალხების ყოფა-ცხოვრებას და მოქმედებას. სკოლაში მარტო ჭკვა-კი არ უნდა ვითარდებოდეს, არამედ გრძნობანიც; სკოლა არის სახელოსნო ჭკვისა: როგორც საღურგლოში მზადდება ავეჯულობა და სამჭედურში — ბარ-სა-კვეთი, ისეც სკოლაში წმინდა სანთელივით ჩვილი ყმაწვილების ჭკვა-გულიდგან უნდა მზადდებოდეს კაცობრივი აზრები და გრძნობანი. აქ ყმაწვილები ხდებიან კაცებად. ამიტომ მკაცრო-ბასთან შეერთებული წკეპლები და ჯოხები უნდა განდევნილ იმნას სკოლიდგანო “...

ბევრი ამ გვარი სიტყვებით მიჰმართავდა კომენსკი მშო-

ბლებს და ხალხს და ეხვეწებოდა მათ, რომ ყურადღებით მოესმინათ მისი ეს სიტყვები. „ქრისტეს გულისთვის, თქვენ ხალხის მოხელენო, გაფიცებთ და გთხოვთ ყურად მიღოთ მე! დიდ არს ეს სწავლის საქმე, რომელიც ღვთის ღიღებასთან ერთად, ხალხის კეთილ წარმატებასაც იერთებს. ამიტომ ნუ დაპზოგავთ თქვენს წვლილს ხალხის სწავლა-განათლებისთვის და ნუ შე-სწუხდებით დანახარჯზედ, რამეთუ მიეცით უფალსა, და მან მოგაგოთ თქვენ ათას წილ მეტალ. თქვენ, ძეირფასნო მშობელნო! თქვენც თავს იდეთ ეს წმიდა საქმე ბავშთა აღზრდისა და აღზარდეთ ისინი ღვთის შიშ ქვეშ; შემდეგ ლირსად მოუმზადეთ მათ გზა უმაღლესი სწავლისათვის“!..

არ დარჩა უყურადღებოთ კომენსკის სიტყვები და ბევრმა შეიგნო მისი რჩევანი, რისგამოც სახელი მისი ჩქარა გაითქვა მთელს ევროპაში. თითქმის ყველა უმთავრეს სახელმწიფოებში იწვევდნენ მას და ივალებდნენ ახალ სახით სკოლების დაფუძნების საქმეს. ისიც სიამოვნებით იღებდა ამ გვარ მოწოდებას და ხან ერთ სახელმწიფოში მიღიოდა სკოლების გასამართავად და ხან მეორეში. თითქმის მთელი თავისი სიკოცხლე კომენსკიმ სწავლა-განათლების საქმეს შესწირა და გარდაიცვალა 78 წლისა ბელგიაში. შემდეგ ყველა იმისა, რაც სთქვა და გააკეთა კომენსკიმ, სწავლა-განათლების საქმე ვეღარ დარჩებოდა წინანდელს მდკომარეობაში და ხალხის სწავლა-განათლების საქმე თან-და-თან წინ მიღიოდა. სკოლების და ნასწავლთა რიცხვი შესამჩნევად მატულობდა და წკეპლებიც იდევნებოდა; სკოლებთან ერთად მრავლდებოდა რიცხვი მსწავლულთა, რომელთაგან ბევრმა სიკოცხლის მიზნად მხოლოდ ის გაიხადა, რომ ღიღებული კომენსკის-მიერ ნაჩვენები გზით ევლოდა ემოქმედა. სკოლებში წინანდელი პირქუში მოქცევა იცვლებოდა ტკბილ და ალერსიან მოქცევად; შემოიღეს ბუნების-მეტყველების სწავლება და მით შესამჩნევად გაანთავისუფლეს კა-

ცობრიობის თავი იმ ათას-გვარი ცრუ-მორწმუნეობისაგან, რო-
მლითაც წინად სავსე იყო იგი. მაგრამ ბევრი მოტრფიალე ხალ-
ხში სწავლა-განათლების გავრცელებისა ჯერ კიდევ იმით ბრკოლ-
დებოდა, რომ დანამდვილებით არ იცოდნენ, როგორ განე-
ხორციელებინათ ის, რის მონატრენი და მოტრფიალენიც იყ-
ვნენ ისინი. მაგალითად, არ იცოდნენ, როგორ შეემსუბუქები-
ნათ და ყველასათვის სასიამოვნო გაეხადათ სწავლა; არ იცო-
დნენ რა უნდა ესწავლებინათ ყველაზედ უწინ, ან როგორ ასწა-
ვლონ ბევრს ერთად.

IV.

განვლო კიდევ 150 წელმა კომენსკის სიკვდილის შემდეგ
და გამოჩნდა მეორე, მასზედ უფრო მომზადებული კაცი, სახე-
ლად ჰენრიხ პეტრალოცი. იმან ერთხელ კიდენ არა თუ მარტო
გა მეორა და განმარტა კომენსკის აზრები სწავლის შესახებ,
არამედ თვით საქმითაც დაამტკიცა და ისე აღზარდა თვის-მიერ
აყვანილი ყმაწვილები სასწავლებლად, როგორც ისე ჯერ არა-
ვის არც ესწავლა და არც აღზარდა იმ დრომდე. ჰენრიხ პე-
ტრალოცი იყო შვეიცარიიელი. ის დაიბადა 1746 წ. ქალაქ ციუ-
რიხში. მამა აქიმი ჰყვანდა, მაგრამ ადრე გარდაეცვალა და
დარჩა ორი დედა-კაცის მზრუნველობის ქვეშ: დედისა და ერთ-
გული მოსამსახურე ქალისა, ბაბეჭისა, რომელმაც, როცა პა-
ტარა ჰენრიხის მამა სიკვდილის პირზე იყო, შეჰფიცა მას, რომ
იგი მის ოჯახს მთელს თავის სიცოცხლეში არ დასტოვებს. ძრიელ
საოცარი ბავშვი .იყო ჰენრიხი პატარაობისას: სულ ჩაფიქრე-
ბული, უგერგილო და გულმავიშეი იყო, მაგრამ სკოლაში-კი
კარგად სწავლობდა. პეტრალოცის პატარაობიდგანვე ხშირად
ესმოდა ბიძისგან და თითონაც კარგად ჰედავდა ამას სოფელ-
ში ცხოვრების დროს, რომ გლეხები დიდს გაჭირებაში და შე-

წუხებაში არიანო, და ამიტომ პატარაობიდგანვე ეგზნებოდ
მას სურვილი ხალხის შველისა.

ამ მიზნით პესტალოცის ჰურდა ჯერ მღვდლად წასული-
ყო, მაგრამ ვერ მოუხდა, რადგანაც პირველი ქადაგება კარგათ არ
მოუვიდა და აღარ აკურთხეს. შემდეგ ირჩია მსაჯულობა, მაგ-
რამ ეს საქმეც საიმისო არ აღმოჩნდა. ერთმა მისმა მახლობელ-
მა მეგობარმა ურჩია პესტალოცის, რომ მსაჯულობისათვის თავი
დაენებებინა და სხვა რამე საქმე-აერჩია. პესტალოცი დაპყვა
საყვარელი მეგობრის რჩევას და ავათმყოფობის-გამო წავიდა
სოფელში ჰაერის გამოსაცვლელად. სოფელში პესტალოციმ
იყიდა პატარა მიწა და დაიწყო გაუმჯობესებული მეურნეობა;
ამით მას ჰურდა მაგალითი ეჩვენებინა ხალხისთვის, მაგრამ ვერც
ეს სამქე მოუხდა: მას არა ჰქონდა სახლის მოვლის შნო და
ფულის შოვნის უნარი; ამიტომ მალე მთლად გალარიბდა.

მიუხედავად ყოველ ამ წაუმართებლობისა საქმეში, სო-
ფელში ცხოვრებამ პესტალოცი შეაჯახა სწორედ იმ საქმეს,
რომლისადმი ბუნებითი მოწოდება ჰქონდა მას და რომელსაც
შეჰსძლებდა კიდეც. ეს საქმე იყო ერთს სწავლა-განათლება. მას
მოუვიდა აზრი მოეგროვებინა თავისთან სოფლის ბავშვები სა-
სწავლებლად და აღეზარდნა ისინი ისე, როგორც მას ესმოდა.
ეს აზრი პესტალოციმ მალე განახორციელა და რამდენიმე კვირის
შემდეგ უკვე გარ-შემორტყმული იყო სოფელელი ხალხის ბავ-
შვებით, რომელნიც პირველადვე ძლიერ შეუყვარდა და გულ-
მოდგინედ შეუდგა მათ სწავლებას. „როდესაც ჩემი თავი პირვე-
ლად ბავშვებით გარემორტყმული ვიხილე,“ — ამბობს თავის
თავზე პესტალოცი, — „მაშინ ისეთ ბედნიერად ვიგრძენ ჩემი თავი,
როგორც იმ დრომდე არასოდეს მეგრძნოო; მხოლოდ ახლა და-
ვინახე და მივხვდიო, თუ რაში იყო ჩემი მოწოდებაო“. ამ დღი-
დგან პესტალოცი აღარ გაპყრია ბავშვებს: ის სულ მათში ატა-
რებდა დროს და ასწავლიდა ლოცვებს, მუშაობას, წერა-კი

თხეას, თვლას და ისე უვლიდა ავაღმყოფობის დროს, როგორც
მშობელი. ყმაწვილებმაც პესტალოცი დიდად შეიყვარეს და მა-
მას ეძახდნენ. ხალხს კიდე ის ამბავი აკვირვებდა, რომ პესტა-
ლოცი ძრიელ მალე და აღვილად ასწავლიდა ბავშვებს და გა-
რეგნობითა და ხასიათებითაც მალე სცვლიდა მათ. ერთი თვის
შემდეგ ვეღარ იცნობდით იმ ყმაწვილებს, რომლებიც პირვე-
ლად დაფლეთილ-დაგლეჯილები და ჭუჭყიანები იყვნენ. პე-
სტალოცისთან ისინი სულ ცოტა ხანში მორჩილნი, მშვიდნი,
სიმართლის მთქმელნი და შრომის და სიფაქიზის მოყვარენი ხდე-
ბოდნენ. ყველა ამას პესტალოცი თავისი მოთმინებით და ალერ-
სიანი მოპყრობით აკეთებდა. მაგრამ, მის-და-საუბედუროთ
ეს სკოლა დიდ ხანს არ არსებობდა, რაღაც მთელი თავისი
ქონება პესტალოციმ მას მოანდომა და აღარაფერი ჰქონდა, რომ
სკოლა შაენახა. ცხოვრების სახსარიც რომ აღარ ჰქონდა, ის
ერთმა მისმა ამხანაგმა მიიკედლა ცოლშვილით. ამ დროს პე-
სტალოციმ დასწერა ორი თხზულება: — ერთი ამ სათაურით —
„სადამოს უამნი განდევეღილისა“ და მეორე — „ლინჭარდი და გერ-
ტრუდა¹⁾. ამ თხუზულებებში პესტალოციმ გამოსთქვა თავისი
შეხედულებანი ყმაწვილების სწავლა-იღზრდაზედ. ჩქარა გაუთქვეს
ამ თხუზულებებმა პესტალოცის სახელი და საკმაო ფულებიც
აშოვნინეს. ნაშოვნი ფულებით პესტალოციმ ხელმეორედ გახსნა
იმ გვარივე სკოლა ქალაქ სტანიცაში. პესტალოცის სკოლაში
ყმაწვილებს შეეძლოთ მასწავლებლების ხელ-მძღვანელობით თა-
ვისუფლად ესწავლათ და აღზრდილიყვნენ კიდეც. მასწავლებე-
ლი მათთვის მამაც იყო და მეგობარიც. მაგრამ ნათქვამია: „უბე-
დურ კაცს ქვა აღმართშიაც მეეწევაო.“ ასე დაემართა პესტა-
ლოცისაც: ამ დროს ასტყდა ომი და ქალაქი სტანიცი მტრებ-

¹⁾ ეს უკანასკნელი თხზულება ჩვენ-მიერაც არის გამოცემული ამ
წლის მეექვსე წიგნად. ლირს ერთი აბაზი გაგზავნით.

მა ააოხრეს. პესტალოცი იძულებული შეიქმნა თავი დაენებებინა საყვარელი საქმისათვის და საყვარელ ბავშვებს გაჰყოლდა. ამ დროს დასწერა მან კიდევ სხვა და სხვა ახალი თხზულება: „როგორ ასწავლიდა გერტრუდა თავის შვილებს“ და სხვ.

ბედმა ხელ-ახლად გაუღიმა მას და უმაღლესი მთავრობის შემწეობით კვალად გახსნა ინსტიტუტი ქალაქ ივერდიუნში (შვეიცარიაში). ამ ინსტიტუტის სახელი მაღე მთელს ქვეყანაზე გავარდა და ყოველი მხრიდან დაიწყეს მასთან დენა ახალგაზღიული სასწავლებლად და სანახავად. მაგრამ, თუმცა ამ სასწავლებელმა ძრიელ გაუთქვა სახელი პესტალოცის, იმავე დროს ბევრი მტერიც შესძინა, რომელთაც დიდი და დიდი ვნება მოუტანეს მას.

სიბერის უამს პესტალოციმ გამოსცადა ორი დიდი უბედურება: მოუკვდა ცოლი, რომელიც ერთად-ერთი მანუგეშებელი და შემგულიანებელი იყო ხოლმე მის ყველა ხაქმეში და განძრახვებში და დაეხურა ინსტიტუტიც, მასწავლებლების უთანხმოების-გამო. ამდენმა უბედურებამ პესტალოცის მაინც ვერ შეურყია შრომის სიყვარული და ხასიათის სიმტკიცე, ვერა დააკლო-რა მის ბუნებრივ სიმშვიდეს, გულ-კეთილობას და სულ-გრძელობას. ყევლა თავის ვაებაში და საქმის წაუმართებლობაში პესტალოცი მარტო თავის მიუხვედრელობას, გამოუცდელობას და უკოდინარობას ამტყუნებდა და სხვას არავის.

პესტალოცი მთელს თავის სიცოცხლეში საწყალი იყო და სისაწყლეშივე გარდაიცვალა. ის როგორი წარწერა არის ამოკრილი მის საფლავზე დადგმულ ძეგლზედ: „თავისთვის არა-ფერი, სხვისთვის-კი უგელაფერი“. თუნდაც რომ არც ერთი თხზულება არ დარჩენოდა პესტალოცის, მაინც ერთი იმის მაგალითებრივი სიცოცხლეც საკმაო იყო იმისთვის, რომ საუკუნოთ სახელი მოეპოვებინა ხალხში; რადგანაც მთელი მისი სიცოცხლე მარად მარტო იმას შეადგენდა, რომ სისრულეში მოეყვანა ლვთის

მცნება მოყვასისადმი სიყვარულისა და ერისთვის სამსახურისა. ყველა აზრები, მის-მიერ გამოთქმულნი თხზულებებში, საქმითაც იყვნენ ასრულებულნი და ამიტომ დიდ შთაბეჭდილებას ახდენ-დნენ ყველაზედ. უმთავრესი აზრები პეტალოცისა არის შემ-დეგი:

„რომ ხალხი მდიდარი და ბედნიერი იყოს, საჭიროა ყო-ველ ყმაწველს კარგი აღზრდა მიეცესო. ეს ერთად-ერთი გზაა მათის დახსნისა სისაწყლისა და ყოველ უბედურობისაგან. აღზ-რდა-სწავლა დაფუძნებული უნდა იყოს სიყვარულზე რადგანაც მარტო სიყვარულით შეგვიძლიან ვიმოქმედოთ ყმაწვილებზე, და მით ისინი უკეთეს გზაზე დავაყენოთო. მთელი წინადადება აღზრდისა იმაში მდგომარეობს, რომ კარგი აღმზრდელი ჰქონდება ბავშვების ბუნებრივ ნიჭის განვითარებაში იმ მხრით, საითკენაც თვითონ ბავშვები გაიწევენ და არა საითაც ჩვენ აღმზრდელებს გვინდაო. ყმაწვილების აღზრდა უნდა დაიწყოთ დაბადების პირ-ველ დღიდამვეო. პირველნი აღმზრდელნი ყმაწვილებისა არიან დედ-მამა და ბუნება. დედის ხელშია მთელი ჩვენი მომავალი: პირველად ის ასწავლის ყმაწვილს ლაპარაკს და ენის ამოდგმა-სთან ერთად იმასაც უხსნის, თუ როგორ მოექცეს სხვებს.

სწავლამ უმთავრეს მიზნად უნდა დაიდგინოს ის, რომ მარტო ცოდნა-კი არ მიაწოდოს ბავშვებს, არამედ განუვითა-როს კიდევ ჭკვა და ამ გვარად გამოსადევი ჰყოს იგი შემდეგი მუშაობისთვის. სკოლაში ბავშვებს შევიწროებული არ უნდა ჰქონდეთ თავისუფლება; იქ ისე უნდა გრძნობდნენ ისინი თა-ვიანთ თავს, როგორც შინ; უნდა თავისუფლად შეეძლოთ მო-სთხოვონ მასწავლებელს გაუგებარი ადგილების ახსნა და მასთან იცელქონ იმდენი, რამდენიც ჰსურთ. იმდენად მეხსიერების გახ-სნას არ უნდა სკოლობდეს მასწავლებელი, რამდენადაც მსჯე-ლობისა. სკოლა სრულს განვითარებას, ფიზიკურს და სულიერს, უნდა აძლევდეს ყმაწვილებს. ღმერთს კაცისთვის მარტო თავი

არ მიუცია, არამედ ხელებიც და ამიტომ უნდა ისიც ასწავლით, თუ ხელებით როგორ ისაჩვებლონ. საჭიროა აგრეთვე სკოლებში ყმაწვილები ხელობას, ხატვას და საბალოსნო მუშაობასაც შეაჩვიოთ; აგრეთვე სიარულს და მთელი სხეულის მარჯვე მოძრაობას. სკოლებში ყმაწვილების სულზედაც უნდა იფიქროთ. სკოლაში ისინი უნდა მიაჩვიოთ ამხანაგობას და სხვის შეწევნას; ცუდია ის სკოლა, რომელიც ასწავლის ყმაწვილებს ტყუილ ლაპარაკს. წერა-კითხვა და ანგარიში არიან უმთავრესი სასწავლო საგნები, რადგანაც ისინი უხსნიან ბავშვებს ენას და გონებას. სკოლა თავისი წეს-წყობილებით და მიმართულებით, რაც შეიძლება ოჯახს უნდა მოგაგონებდეთ“ და სხვ.

ჰესტალოცის თხუზულებებმა ბევრი მკითხველები იშოვნა, ხოლო მისმა ცხოვრებამ და მოქმედებამ კიდე ბევრი წააქეზა, რომ მისთვის მიებაძნათ. დრო მიდიოდა და სკოლის საქმეც სულ სხვა სახეს იღებდა. ბნელი და ვიწრო, ნოტიო შენობებიდგან სკოლები ახალ და სუფთა, ვრცელ შენობებში გადაღიოდა. წკეპლებიც ერთგულად იდევნებოდა სკოლებიდგან. არც ლიუტერს და არც კომენტაციის არ ჰქონდათ საზოგადოებაზე ისეთი დიდი გავლენა, როგორც ჰესტალოცის. აიხსნება ეს, რა-საკვირველია, საზოგადოების მეტი მომზადებით და განათლებით. მრავალი სკოლები იხსნებოდა ჰესტალოცის სკოლის სახეზედ; დაიწყეს სკოლების გახსნა ბრძების, სუსტ-გონებიანთათვის და ყრუ-მუნჯთათვისაც. სკოლის საქმემ, რომელიც კარგა ხნობამდის არავითარ ყურადღებას არ იქცევდა, ეხლა ყველანი მოასურვა და ბევრმა დაიწყო მასზედ ლაპარაკი. დაიწყეს დაფუძნება იმ გვარი წრეებისა, რომლებიც აგროვებდნენ საშუალებას სახალხო სკოლების აშენებისთვის; გამოდიოდა ისეთი თხზულებები, რომლებიც განმარტავდნენ ჰესტალოცის აზრებსა...

V.

განვლო რამდენიმე ათმა წელში პესტალოცის სიკვდილის შემდეგ და ევროპის ყველა სახელმწიფოში დაიწყეს ლაპარაკი იმაზედ, რომ სწავლა-განათლება საჭიროა მიეცეს გამოუკლებლად მთელს ერსა და რომ ამ აზრის განსახორციელებლად საჭიროა მიღებულ იქმნას ყოველ-გვარი საშუალებაო. ყველა გაზეთებში, უურნალებში და ცალკე წიგნებში დაიწყეს წერა იმაზე, თუ როგორ ცუდ მდგომარეობაშია საერო სკოლები, როგორ დიდად საჭიროებს ხალხი კარგ სკოლებში, როგორ საჭიროა, რაც შეიძლება მალე შეიქმნეს ერი განათლებული, მაგრამ საყოველთაოდ სწავლის მოფენას ხალხში ჯერ კიდევ ბევრი მტერი ჰყანდა თვით დაწინაურებულს ქვეყნებშიაც.

მაგალითად, 1803 წელს, ინგლისის პარლამენტში (სახელმწიფოს უმაღლეს საბჭოში, სადაც იკრიფებიან ამორჩეულნი მთელი სახელმწიფოდამ) ერთმა ამორჩეულთაგანმა, სახელად ბრუმმა, წარმოსთქვა სიტყვა იმაზედ, რომ სწავლა-განათლება უბრალო ხალხისთვისაც არის საჭირო; ამაზედ თითქმის მთელმა კრებამ მასხარად აიგდო ბრუმმი. მაგრამ გამბედავნი, დაუღალავნი და ხალხის კეთილის-მყოფელნი იმედს არა ჰყარგავდნენ და სიტყვიერი ქადაგების გარდა, თვითონ საქმესაც მიმართეს. შეციაში შემოიღეს მოძრავი სკოლები, ე. ი., რადგანაც მასწავლებლები ჯერ ხანობით ცოტანი იყვნენ, ერთს მასწავლებელს რამდენიმე სოფელს მიუჩენდნენ და ისიც ორ-სამ თვეს რომ ერთს სოფელში ასწავლიდა; ახლა მეორეში გადიოდა თავისი მოწყობილობით, იქიდამ მესამეში და ასე ამ გვარად ერთი მასწავლებელი ასწავლიდა რამდენიმე სოფლის მოსწავლე ახალგაზღვობას. ინგლისში კიდე დაიწყეს საკვართაო სკოლების გამართვა, სადაც ყველა მსურველს შეეძლო უფასოთ სწავლა. ერთმა მოყვარულმა კაცმა, სახელად ლანკასტერმა (დაიბადა ლონდონ-

ში 1778 წ.) გამართა შემდეგ ნაირი სკოლა: როდესაც რამდენიმე უსწავლელ მოსწავლეს წერა-კითხვას შეასწავლიდა, შემდეგ თითო მათგანს აბარებდა ათ სხვა უსწავლელს და ავალებდა, რომ მათაც ისე ესწავლებინათ მათთვის, როგორც თვითონ ისწავლეს იმისგან. ამ გვარად მის თვალ-წინ და მის ხელ-მძღვანელობის ქვეშ ერთბაშათ სწავლობდა თითქმის 500—600 კაცამდე. ამისთანა საურთიერთო სწავლების სკოლებს ეწოდა ლანკასტრული სკოლა. თუმცა მასში ყმაწვილები ისე კარგად ვერა სწავლობდნენ საგნებსა და არც ისე ვითარდებოდნენ, როგორც იმ სკოლებში, რომლებშიაც ყველას მასწავლებელი ასწავლიდა, მაინც წერა-კითხვას ყველა სწავლობდა და ეს-კი ხშირად საკმაოა ხოლმე, რომ კაცმა შემდეგი სწავლა და განვითარება თითონ მიიღოს და ნაკლი შეივსოს წიგნების კითხვით. ლანკასტრული და საკვირაო სკოლების წყალობით მთელი ინგლისის ხალხი დიახ მაღე შეიქმნა წერა-კითხვის მცოდნე.

ამის შემდეგ ევროპის დაწინაურებულს სახელმწიფოებში დაიწყეს მეცადინეობა, რომ ერთხელ და სამუდამოთ ვალდებული გაეხადათ სწავლა მთელი ერისათვის გამოუკლებლად. დაადგინეს, რომ ყველა ყმაწვილებმა, ქალებმა და ვაჟებმა, 6-დამ 14 წლოვანობამდის უსათუოდ იარონ სკოლაში, ე. ი. ისწავლონ რვა წლის განმავლობაში; ხოლო, ვინც ამ კანონს არ აასრულებდა, უნდა ჯარიმა გადაეხადა. სწავლა ამ გვარს სკოლებში უფასოა და სასწავლო ნივთებსაც მუქთად ურიგებენ. აი ამას ეძახიან კალდებულ სწავლას. ყველაზედ უწინ (1775 წ.) ვალდებული სწავლა შემოლებულ იქმნა აქსტრიაში, მას შემდეგ პრუსიაში და მერე შვეციაში. ჩვენს დროში კალდებულებით სწავლა შემოლებულია ევროპის ყველა სახელმწიფოებში, გარდა რუსეთისა და ოსმალეთისა.

სამწუხაროდ მეტად მძიმედ მიდის სწავლა-განათლების საქმის მოწყობა ჩვენს დაბალ ხალხში. საჭიროა იშვიათი თავ-

გამოდება ერის შეგნებული ნაწილისა, რომ როგორმე და რი-
თომე შევამსოთ ჩვენი ხალხის ასეთი ჩამორჩენა სწავლა-განათ-
ლებაში. როგორც ოდესმე იყვნენ ისეთები, რომ მტრობდნენ
და წინააღმდეგებოდნენ ქრისტეს სარწმუნოების გავრცელებას
ხალხში, სწორედ იმ გვარივე წინააღმდეგობა და მტრობაა აღორ-
ძინებული ჩვენი სკოლის და სწავლა-განათლების წინააღ-
მდეგ. მაგრამ, სკოლა უდიდესი და უპირველესი საქმეა ხალხის
ცხოვრებაში. ქრისტიანობამ უკვე აღმართა დროშა ძლევისა
თავის მტრებზედ, აღმართავს ამ გვარსავე დროშას სკოლაცა!..

დასასრული.

37
8 274

ფასი 15 პაპ. გაგზავნით

დაპირებული აღმომი, ჩართველთა ტომი^ი გა
მოვა პირველ იანვრამდე.

ხელის-მოწერა (4 მანეთი) იქანე როსტომაშვილის 1896
წლის გამოცემებზე მიიღება მხოლოდ პირველ იანვრამდე.

1897 წლის განმავლობაში იქანე როსტომაშვილი გამო-
ცემს მეორე დიდს აღმომს აღწერით „საქართველოს ზე-
სანიუსნი დაბა-ქალაქი, ციხენი, ეკლესიანი, მონას-
ტერი და სხვა ისტორიული ნაშთები“. ფასი ხელის-მოწ-
ერთავის 4 მანეთი.

ფული უნდა გამოიგზავნოს: въ Тифлисъ, Ивану Пав-
ловичу Ростомову.